რეგიონული სამოქალაქო საზოგადოების გამოწვევები აჭარის მაგალითზე

ასლან ართმელაძე

მოკლე შინაარსი

სამოქალაქო საზოგადოების განვითარება აჭარის რეგიონში (ქალაქ ბათუმის გარდა), სუსტია. ქვემოთ მოყვანილი სტატისტიკის მიხედვით, 5 მუნიციპალიტეტში მხოლოდ ათამდე სათემო ორგანიზაციაა, რაც ქმნის არასასურველ ფონს ადგილობრივი განვითარების კონტექსტში. ადგილობრივი განვითარება დამოკიდებულია სამოქალაქო საზოგადოების სიძლიერეზე, აქედან გამომდინარე ძლიერი სათემო და სამოქალაქო საზოგადოების არ არსებობის შემთხვევაში, საფრთხის წინაშეა. ადგილობრივი ახალგაზრდების მზარდი მხარდაჭერა შეძლებს სიტუაციის სასიკეთოდ შეცვლას და ხელს შეუწყობს რეალური სათემო აქტივიზმის ჩამოყალიბებას, რომელიც ამ ეტაპზე ძალიან საჭირო და აუცილებელი პროცესია.

შესავალი

სამოქალაქო საზოგადოების განვითარების მხრივ ბოლო ათწლეულების განმავლობაში ხელშესახები პროგრესი გვაქვს, რაც განსაკუთრებით აღსანიშნია საქალაქო ტიპის დასახლებებში. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე მნიშვნელოვანი კვლევა არსებობს - სამოქალაქო საზოგადოების განვითარების მიმართულებით[1] - ამ ეტაპისთვის არ არსებობს რეგიონული სამოქალაქო საზოგადოების და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მართლზომიერი და ადგილობრივ კონტექსტზე მორგებული განვითარების სტრატეგია. სამოქალაქო საზოგადოების და სათემო ტიპის ინიციატივების განვითარების მიმართულებით 2010-იანი წლებიდან რამდენიმე ინიციატივა განხორციელდა, კერძოდ: აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 46 ამაგი (აქტიურ მოქალაქეთა ადგილობრივი გაერთიანება) შეიქმნა[2]. ხულოს და ქედის მუნიციპალიტეტებში დაფუძნდა ადგილობრივი განვითარების ჯგუფები (LAG)[3]. აგრეთვე განხორციელდა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების გაძლიერების პროექტი[4], კერძოდ, რეგიონში დაფუძნდა ''აჭარის რეგიონული ჰაბი''. თითოეული ეს ინიციატივა ემსახურება სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას, გაძლიერებას და სამომავლო განვითარებას. პირადი დაკვირვებით, ჩატარებული საქმიანობის მიუხედავად, სათემო ტიპის აქტივიზმი და ზოგადად სამოქალაქო საზოგადოება რეგიონში (რამდენიმე გამონაკლისის გარდა), არ არის ძლიერი.

---

[1]საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულება სამოქალაქო საზოგადეობის ორგანიზაციების, ევროინტეგრაციის და ბიზნეს კომპანიების მიმართ - ადენაურის ფონდი, თბილისი 2018; სამოქალაქო სექტორის შეფასება, EWMI 2019; სსო მეტრი, CSI 2020 და აშ;

[2] https://bit.ly/30v0ljN - რა არის ამაგი?

[3] https://bit.ly/2OcXda3 - რა არის ადგილობრივი განვითარების ჯგუფი?

[4] https://bit.ly/3bFA357 - სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივის პრეზენტაცია.

პრობლემის დასმა

სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების ინიციატივები, ხშირ შემთხვევაში - პროექტულად ხორციელდება და პროექტის დამთავრების შემდეგ სრულდება. ძირითადი მიზეზი, შესაბამისი პროექტების მდგრადობის სუსტი მექანიზმები, საზოგადოების დაბალი ნდობა და ლეგიტიმაციაა[5]. აგრეთვე, სუსტია ფინანსური მდგრადობის მექანიზმი და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებში დასაქმებული პირები სხვა ტიპის საქმიანობებში არიან ჩართული, შემოსავლის მიღების მიზნით (კერძო ბიზნესი და სოფლის მეურნეობა). საერთო ჯამში, მოცემული ორგანიზაციების არსებობა, დიდწილად ფინანსების არსებობაზეა დამოკიდებული. აქედან გამომდინარე, სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ინიციატივები ფრაგმენტულია და ყოველი ახალი პროექტის დაწყების წინ, ყველაფერი თავიდან იწყება.

მეორე მხრივ, აქტიური სამოქალაქო საზოგადოების დიდი ნაწილი, ძირითადად თავად მუშაობას სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციაში. სათემო ტიპის დასახლებებში, ბოლო წლებში შექმნილი სხვადსხვა ორგანიზაცია, გაერთიანება, საინიციატივო ჯგუფი - ზემორე მოხსენებული პროექტების ფარგლებში შეიქმნა და დამოუკიდებელი საქმიანობის მცირე გამოცდილება გააჩნიათ. თუმცა ჩემი მოსაზრებით, განსაკუთრებით ზემო აჭარაში დაბალია, დამოუკიდებელი სამოქალაქო აქტივიზმის ხარისხი. მოსახლეობა ნაკლებად ინტერსდება სამოქალაქო განვითარების პრინციპებით და ძირითადად შემოსავალზე ორიენტირებული საქმიანობით არის დაკავებული. ნაკლებად პოპულარულია სათემო ცენტრების და ორგანიზაციების, კონკრეტული ინტერესების მქონე საინიციატივო ჯგუფების და ინდივიდუალური აქტივისტობის იდეა და პრინციპები. როგორც ზემოთ აღვნიშნე, პროექტულად რამდენიმე ათეული არის შექმნილი, თუმცა გრძელვადიან პერსპექტივაში თითქმის არცერთი სრულფასოვნად არ ფუნქციონირებს.

ზემოთ მოყვანილი საკითხები რამდენიმე პრობლემატურ მიმართულებად შეიძლება ჩამოყალბიდეს. პირადი დაკვირვების საფუძველზე, შემდეგ საკითხებს გამოვყოფ: ა) *ახალგაზრდების მიგრაცია დიდი ქალაქებში* - ''ტვინების გადინება'' ცუდ გავლენას ახდეს სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ხარისხზე, რადგან ყველაზე აქტიური ნაწილი ტოვებს დაბას და სოფლებს და უკეთესი ცხოვრების ძიებაში უფრო დიდ ქალაქს ირჩევს. სამწუხაროდ, ზუსტი კვლევა ამ ეტაპზე არ არსებობს და აგრეთვე არ ვიცით, თუ რამდენი ახალგაზრდა უბრუნდება მშობლიურ რეგიონს კარიერის და ცხოვრების გასაგრძელებლად. ბ) *ფინანსური არასტაბილურობა* - ფინანსები მნიშვნელოვანია თვითრეალიზაციის პროცესში. რეგიონში ძალიან ცოტა სფეროა, რომელიც დასაქმების შესაძლებლობას იძლევა და ტოვებს თავისუფალ დროს, სამოქალაქო საზოგადოების შენების პროცესში ჩართულობისთვის. გ)

[5] სამოქალაქო სექტორის შეფასება, EWMI 2019;

დონორი ორგანიზაციების ნაკლები ნდობა - დიდი დონორი ორგანიზაციები ადგილობრივ ჯგუფებს დაბალ ნდობას უცხადებენ (ძირითადად ფინანსურ ნაწილში) და მიზეზად დაბალ კომპეტენციას ასახელებენ, რომელიც ძირითადად მიბმულია წინა ორ საკითხთან. ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირის ''ინტელექტის'' მიერ ჩატარებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საჭიროების კვლევის მიხედვით, რეგიონში 69 ორგანიზაციაა, მათგან 85 %-ზე მეტი ბათუმშია ბაზირებული. ხოლო, 30 %-ზე ნაკლებს აქვს საკუთარი სოციალური გვერდი, რაც აქტიურობის ხარისხის მაჩვენებელია. ძირითადად თბილისში და მცირე შემთხვევაში ბათუმში ბაზირებული ორგანიზაციები ახორციელებენ სათემო და სამოქალაქო განვითარების ტიპის პროექტებს, რაც მეტწილად მოსახლეობის მხრიდან ზემოდან მოხვეულ იდეებად რჩება.

ზოგადი შეფასება

ბოლო წლების განმავლობაში, ევროკავშირის და USAID-ის სხვადასხვა საგრანტო კონკურსების, აგრეთვე სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ფარგლებში დიდი ფინანსური რესურსი წამოვიდა, რამაც ერთი მხრივ შეძლო მოსახლეობის გამოცოცხლება და ეკონომიკური ზრდის დაფიქსირება. მარტოოდენ ხულოს მუნიციპალიტეტში ბოლო 3 წლის განმავლობაში ერთი მილიონის ევროს მოცულობის გრანტები გაიცა ერთი პროექტის[6] ფარგლებში. საერთო ჯამში, არ არსებობს, დონორული ორგანიზაციებისა და სახელმწიფო პროგრამების მიერ გრანტებში დახარჯული თანხის ერთიანი ბაზა. მეორე მხრივ, ამ აქტივობებმა უფრო მეტად შეასუსტა, ისედაც მოწყვლადი სამოქალაქო სექტორი, რადგან მოსახლეობის შედარებით აქტიური ფენა, ბიზნეს საგრანტო კონკურსებში ჩაერთო. მოცემული გრანტების ძირითადი პრობლემა - სათემო განვითარებაზე ნაკლები აქცენტირებაა. მიუხედავად იმისა, რომ შეიქმნა სხვადასხვა ტიპის სათემო ორგანიზაციები (LAG, ამაგი, კოოპერატივი), არ მომხდარა სრულფასოვნად ამ ორგიაზაციების გაძლიერება და სამოქალაქო ტიპის ორგანიზაციად ჩამოყალიბება, რადგან წევრების ძირითადი ინტერესი ფინანსური სარგებელი და ბიზნესის ქონა გახდა.

ზემო მოხსენებული საკითხიდან გამომდინარე ძალიან ჭირს - ძლიერი სათემო და სამოქალაქო ორგანიზაციის დასახელება, რომელიც ცალსახად იბრძვის - სოფლის და თემის განვითარებისთვის ცალკეული დონორული გრანტის გარეშე. აჭარის არცერთ მუნიციპალიტეტში არ არის მოქმედი სათემო ორგანიზაცია, რომელიც შეძლებს თემში არსებული პრობლემების გამოვლენას და ადვოკატირების მექანიზმების მეშვეობით ლოკალურ თუ რეგიონულ მთავრობის წინაშე დაყენებას. ეს ყველაფერი იწვევს, დასახლების

[6] https://bit.ly/38yPBp6 - CCRG მხარს უჭერს ზემო აჭარაში 200-ზე მეტი ახალი სამშაო ადგილის შექმნას.

საერთო კრებების უსუსურად ჩატარებას და მოსახლეობის მოსაზრებების და საჭიროებების უგულველყოფას. სამწუხაროდ, ამ მიმართულებით კონკრეტული კვლევები არ არსებობს.

რეკომენდაციები და სამომავლო პერსპექტივები

სამოქალაქო საზოგადოების განვითარების პერსპექტივა აჭარაში ნამდვილად არსებობს, თუმცა საჭიროა ამ მიმართულებით აქტიური მუშაობა და ქვემოდან ზემოთ წამოსული პრობლემატური საკითხების აქტიური მხარდაჭერა. ამ მიმართულებით რამდენიმე რეკომენდაციის და სამომავლო პერსპექტივის გამოყოფა შეიძლება:

1) ხელი შეეწყოს სათემო აქტივიზმის ჩამოყალიბებას, აქტიური თემის წევრების განვითარების ხელშეწყობით და დამოუკიდებელი საქმიანობის წახალისებით.

2) ადგილობრივი აქტიური ახალგაზრდების ადგილზე დასაქმება (სკოლა, ბიზნეს სექტორი), რათა მოხდეს ადამიანური რესურსების ოპტიმიზაცია და რეალური სათემო აქტივიზმი განვითარება.

3) დონორი ორგანიზაციების მიზანი უნდა გახდეს, ადგილობრივი საინიციატივო ჯგუფების (განსაკუთრებით ახალგაზრდების) ხელშეწყობა და მხარდაჭერა სათემო ორგანიზაციად ჩამოყალიბების პროცესში. თანდათან უნდა შემცირდეს, ცენტრიდან განხორციელებული სამოქალაქო საზოგადოების განვითარების პროექტები და ყველა სახის აქტივობა უშუალოდ სოფელში და თემში უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს.

4) ეკონომოკიური ტიპის საგრანტო კონკურსების თანმდევი პროცესი უნდა გახდეს, რეალური სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერა გარკვეული ვალდებულების დაკისრებით. დაფინანსებულ ბიზნეს პროექტებს უნდა ჰქონდეს სოციალური პასუხისმგებლობის ელემენტი და აქტიურად უნდა იყვნენ დაკავშირებული ადგილობრივ სათემო განვითარების ჯგუფებთან.

ზემოთ მოცემული რეკომენდაციები, კარგი ბალანსი იქნება რეგიონში აქტიური სამოქალაქო და სათემო საზოგადოების ჩამოყალიბების და ''ქვემოდან ზემოთ'' (Bottom Up approach[7]) პრინციპის განვითარების პროცესში. თითოეული რეკომენდაციის პრაქტიკული განხორციელება, იდეალურ საშუალებას მოგვცეს დავინახოთ - უფრო ძლიერი და დამოუკიდებელი სათემო ტიპის აქტივიზმი მუნიციპალიტეტებში, განსაკუთრებით მაღალმთიან აჭარაში.

[7] https://bit.ly/2N6ZxP7 - Top-Down vs. Bottom-Up: What's the Difference?